პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 155 (3639) 8 1968 წ. აგვისტო, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 25-ე წელი.



## ოქროს კიდევ 10 კომპლექტი

ფსკოვი, 6 აგვისტო (საკდესი). ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღეს ოქროს მედლების კიდევ 10 კომპლექტი გათამაშდა. აი, ახალი ჩემპიონები: 500 მ. ქალები. ორადგილიანი ბაიდარა — ლ. პინაევა (ლენინგრადი) და ა. სერედინა (მოსკოვი); ოთხადგილიანი ბაიდარა — „სპარტაკის" ნავი, მენიჩბე სერედინა; 1000 მ. ვაჟები. ერთადგილიანი ბაიდარა — ა. შაპორენკო (სუმი); ერთადგილიანი კანოე — რ. ნაგირნი (ლვოვი); ორადგილიანი ბაიდარა — ა. სედაშევი (ლენინგრადი) და ბ. ბარმინი; ორადგილიანი კანოე — მ. ზამოტინი (ლენინგრადი) და ნ. პროკუპეცი (მოსკოვი); 10.000 მ. „სპარტაკის" ოთხადგილიანი ბაიდარა, მენიჩბე კ. ნაზაროვი.

ესტაფეტაში 4×500 მეტრზე გაიმარჯვეს: ქალებში „დინამოს", ვაჟებში — „სპარტაკის" მებაიდარეებმა. კანოეთი შეჯიბრებაში სპარტაკელები პირველობდნენ.




ახალი საფოსტო ნიშანი, რომელიც სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ სამამულო ფეხბურთის 70 წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვა.

ფოტო ვ. ხუხლაევისა (საკდესი).

## მაშ, ასე:

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან:

„პახტაკორი" (ტაშკენტი) — „შახტიორი" (დონეცკი),

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ნეფტჩი" (ბაქო).

ნახევარფინალური შეხვედრები შედგება 26-27 აგვისტოს.

## საქართველოს თასზე

დღეს იწყება ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების შეხვედრები მერვედფინალში გასასვლელად. პირველ მოწინააღმდეგეებად ერთმანეთს შეხვდებიან: „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი), „ფეიქარი" (წულუკიძე) — „ელექტრიკოსი" (ქუთაისი), „განთიადი" (აბაშა) — „იხანი" (თბილისი), „სინათლე" (თბილისი) — „სპარტაკი" (ბორჯომი), „ქართლი" (გორის რაიონი) — „სულორი" (ვანი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „იმერეთი" (თერჯოლა).


## დღეს ნომერში

ა. ზაბელინა — უძლიერესი მოფარიკავე 1-ლი გვ.

ლ. პორტიშმა ყველას აჯობა 1-ლი გვ.

დუშეთში — მოჭადრაკე ქალები... მე-4 გვ.




სსრ კავშირის ცხენოსანთა ოლიმპიური გუნდის (კონკური) კანდიდატი, სპორტის ოსტატი ე. კუზინი (მოსკოვის „ბურევესტნიკი") გამოდის წმინდა სისხლის ულაყით „ფიგლიარით".

ფოტო პ. ნოსოვისა (საკდესი).



სურათზე: ფინეთის ერთ-ერთი უძლიერესი მშვილდოსანი, ჰელსინკის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი მირია ნიულენიუსი, რომელმაც სსრ კავშირისა და ფინეთის მშვილდოსანთა ამასწინანდელ საერთაშორისო მატჩში პირველობა მოიპოვა. ეს გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ნიულენიუსმა ჩამოიტოვა 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონი, თანამემამულე მ. ლინდჰოლმი და საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. კოზინა.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

### დეპეშა გზიდან

## გავლილია მესამე პუნქტი

მინსკი, 7 აგვისტო. ლენინური კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების" 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ველოტურისტული ლაშქრობის მონაწილეებმა (მარშრუტით თბილისი — ბრესტი) წარმატებით გაიარეს მესამე საკონტროლო პუნქტი. ვაგრძელებთ გზას.

ა. ბირბილოვი,

ლაშქრობის ხელმძღვანელი.

## ახალი ამბები

● ტალინი, 7 აგვისტო. სსრ კავშირის მოფარიკავეთა ჩემპიონატში გათამაშდა მედლები პირად ტურნირში მოასპარეზე ქალთათვის. გაიმარჯვა მოსკოველმა ა. ზაბელინამ — ყველაზე გამოცდილმა მონაწილემ: მან ხომ ჯერ კიდევ 1957 წელს მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის სახელი, ხოლო ზუსტად 10 წლის შემდეგ, მონრეალში ისევ დაიმსახურა დედამიწის უძლიერესი რაპირისტი ქალის წოდება. ამ წლებში ჩვენი სახელგანთქმული სპორტსმენის კოლექციაში ადგილი ჰპოვა უდიდესი შეჯიბრებების ოქროს 20-ზე მეტმა მედალმა. და აი, ახალი წარმატება, თანაც, უპრობლემო. ორი დღე გრძელდებოდა ბრძოლები და ზაბელინამ საფარიკაო ბილიკი დაუმარცხებლად დატოვა. ეს ტანდაბალი, მშვიდი და მეტისმეტად სათნო სპორტსმენი „ბრძოლის ველზე" პირდაპირ იცვლება და რისხვად ატყდება მეტოქეს, რომელსაც თავისი საყვარელი მრავალსვლიანი კომბინაციებით პირდაპირ თავგზას უბნევს. მეტოქეები კი ფინალში ზაბელინას ძლიერი და გამოცდილი ჰყავდა — მისი ძველი მეგობრები ტ. სამუსენკო (მინსკი) და ვ. პრუდსკოვა (სარატოვი), აგრეთვე, ახალგაზრდა მზარდი მოფარიკავეები ე. ნოვიკოვა (მინსკი), ს. ჩირკოვა (ტალინი) და რ. კეკელია (თბილისი). როცა ცხრილის ყველა უჯრედი შეივსო, ორ სპორტსმენს — ჩირკოვასა და ნოვიკოვას მოგებათა და წაგებათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების ბედი დამატებითმა ბრძოლამ გადაწყვიტა. გაიმარჯვა ნოვიკოვამ. ექვსეულში აგრეთვე შევიდნენ: 4. სამუსენკო, 5. პრუდსკოვა, 6. კეკელია.

● სკოპლე, 7 აგვისტო. მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინის ამასწინანდელმა პრეტენდენტმა — უნგრელმა დიდოსტატმა ლ. პორტიშმა პირველი პრიზი მოიხვეჭა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში — „სოლიდარობის შეხვედრებში". გამარჯვებულმა დამაჯერებლად ჩაატარა მთელი შეჯიბრება და 14,5 ქულა მოაგროვა 19-დან. II ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ე. გელერმა (13,5), რომელმაც საუცხოოდ ითამაშა ტურნირის ფინიშზე. მესამე პრიზი 13 ქულით დაისაკუთრა აგრეთვე საბჭოთა დიდოსტატმა ლ. პოლუგაევსკიმ. IV ადგილზეა ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 12,5. ვ. სავონს (სსრ კავშირი) 11 ქულა აქვს. ადრე გადადებულ ორ პარტიაში პორტიშმა და გელერმა თითო ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში. ბოლო ტურში სავონ—პორტიშისა და იანოშევიჩ (იუგოსლავია) — გელერის პარტიები ყაიმით დამთავრდა. პოლუგაევსკიმ მოუგო იუგოსლაველ მარიჩს, ხოლო ჰორტმა — მასპინძელთა მეორე წარმომადგენელს სოფრევსკის.



## ახმეტელები და მერიელები — პირველად...

თბილისში ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა ავიასამოდელო სპორტში. მართალია, შეჯიბრებას ცოტა მონაწილე ჰყავდა, მაგრამ სარბიელზე პირველად გამოვიდნენ ახმეტისა და სოფელ მერიის (მახარაძის რაიონი) გუნდები.

პირველ დღეს სპორტსმენები ორ სახეობაში ასპარეზობდნენ: საჰაერო ბრძოლასა და ასლ-მოდელების მანევრირებაში. ამ შეჯიბრებამ ბევრი მაყურებელი მიიზიდა.

საჰაერო ბრძოლაში 470 ქულით გაიმარჯვა გ. კასაბიანმა (ბათუმი). II ადგილი ხვდა კ. მალოლეტკინს (თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური) — 235 ქულა, III — კ. ბონდარევს (თბილისის პიონერთა სასახლე) — 195 ქულა.

ასლ-მოდელების მანევრირებაში ყველას აჯობა ა. ალექსეევმა (თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური) — 544 ქულა. მეორე იყო ა. სარქისიანი (თბილისის პიონერთა სასახლე) — 392 ქულა, მესამე — ი. სკრიაბინი (რუსთავი) — 271 ქულა.

შეჯიბრება სხვა სახეობებში სოფელ ნატახტარში (მცხეთის რაიონი) გაგრძელდა. აქ საპრიზო ადგილებს ერთმანეთს ძირითადად ეცილებოდნენ თბილისელი და რუსთაველი სპორტსმენები, თუმცა ასპარეზს უბრძოლველად არც ქუთაისის, მერიისა და საჩხერის გუნდები თმობდნენ.

ოთხდღიანმა შეჯიბრებამ გამოავლინა უძლიერესნი: I. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდი (2736 ქულა), II. რუსთავის კოლექტივი (2535), III. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე (2530).

აღსანიშნავია მერიის გუნდის წარმატება: ჩემპიონატის დებიუტანტმა ჩამოიტოვა ქუთაისის, ბათუმისა და საჩხერის გუნდები და 1979 ქულით IV ადგილი დაიკავა.

პირად პირველობაში ჩემპიონებად გახდნენ: პლანერისტებში — გ. ჩუპრინი (ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური), რეზინის ძრავიანი მოდელებით — შ. ბონდარენკო (რუსთავი), ბენზინის ძრავიანებით — ი. აბოვიანი (თბილისის პიონერთა სასახლე), რაკეტებით — ო. სამხარაძე (საჩხერე).

აღსანიშნავია, რომ რადიოთი სამართავი მოდელი მხოლოდ რუსთავის გუნდს ჰქონდა.

გ. მეიშვილი.

• • •

სურათზე: ბენზინის ძრავიანი მოდელებით შეჯიბრებაში გამარჯვებული ი. აბოვიანი სასტარტო მოედანზე.

ფოტო ავტორისა.



# ოლიმპიადის სუნთქვა

## საზღვარგარეთის პრესის მიმოხილვა

რაც უფრო ახლოვდება მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების სტარტი, მით უფრო მატულობს აჟიოტაჟი მსოფლიოს სპორტსმენთა ამ უდიდესი დღესასწაულის ირგვლივ. გაზეთებისა და ჟურნალების დიდი უმეტესობა ამ თემას უძღვნის მუდმივ რუბრიკებს: „წინაოლიმპიური დღიური“, „მეხიკოს პრელუდიები“, „აცტეკთა ქვეყანაში გამგზავრების წინ“ და ა. შ.

წრე კითხვებისა, რომლებიც პრესას აინტერესებს, მეტად ფართოა. აქაა პროგნოზები დელეგაციების შემადგენლობასა და ასპარეზობის მოსალოდნელ შედეგებზე, დაწვრილებითი ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა ტექნიკურ შედეგებზე, საუბარი სპეციალისტებთან, ოლიმპიელებისა და მათი მწვრთნელების გადასაწყვეტი მთელი რიგი პრობლემები.

დღევანდელი მიმოხილვა დავიწყოთ პრეს-კონფერენციით, რომელიც აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებელმა მდივანმა ჟან-კლოდ განგამ ამას წინათ კამერუნის დედაქალაქ იაუნდეში ჩაატარა დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში მოგზაურობის შემდეგ.

განგამ განაცხადა, რომ თამაშების სტარტზე გამოვა 500 აფრიკელი სპორტსმენი მაინც, რომელთაგან ორ მესამედს მძლეოსნები შეადგენენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონტინენტის სპორტის ისტორიაში ეს იქნება აფრიკელების ყველაზე ხალხმრავალი გამოსვლა საერთაშორისო ხარბიელზე. „მოგზაურობის დროს ძალიან გამახარა შემდეგმა გარემოებამ: აფრიკელებმა იციან, რომ ოლიმპიურ თამაშებში მათ მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს მარტო სპორტული საკითხი არ არის. ცხადი გახდა, რომ ახლა არ შეიძლება თამაშები ჩატარდეს აფრიკის უზარმაზარი და სრულუფლებიანი კონტინენტის მონაწილეობის გარეშე“.

განგას აზრით, ყველაზე დიდი — თითქმის 100-კაციანი იქნება ნიგერიის დელეგაცია. დანარჩენი ქვეყნები მეხიკოში გაგზავნიან გუნდებს 5-დან 50 სპორტსმენის შემადგენლობით.

ცნობილია, რომ პროგრესული საზოგადოებრიობის, განსაკუთრებით კი სოციალისტური ქვეყნების გავლენით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ოლიმპიადაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. როგორ გადაწყდა მათი თანამოაზრე სამხრეთაფრიკელი რასისტების — როდეზიელების საკითხი? მეხიკოში ვერც ისინი მოხვდებიან. მართალია, აქ ოლიმპიური ქარტია როდი მოქმედებს, ვინაიდან ფორმალურად იან სმითის მამულში სპორტის სფეროში რასობრივი დისკრიმინაცია არ არსებობს. მაგრამ თავად როდეზიელები განაცხადის შეტანას არ აპირებენ. საქმე ისაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციის საფუძველზე ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს არა აქვთ უფლება როდეზიელებს მათს ტერიტორიაზე შესასვლელი ვიზა მისცენ. ამგვარად, როდეზიელ რასისტებს ოლიმპიური თამაშების გზა ჩაკეტილი აქვთ.

მაგრამ შეერთებული შტატებიც ხომ ყველაზე მძვინვარე და აშკარა რასიზმის ქვეყანაა? ცნობილია, რომ ამერიკის ბევრმა ზანგმა სპორტსმენმა გადაჭრით გამოუცხადა ბოიკოტი თამაშებს. ჯერ კიდევ ძნელია ითქვას, რა სახეს მიიღებს ეს პროტესტი, მაგრამ სპორტის ამერიკელი ბოსები ყოველნაირად ცდილობენ დაარღვიონ ზანგი ათლეტების ერთიანი ფრონტი, ჩამოაგდონ მათ შორის შუღლი, დათესონ მტრობა.

სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში უწინდებურად დგას ოლიმპიელთა აკლიმატიზაციისა და მექსიკის პირობებისთვის მათი მომზადების საკითხი. ერთიანი შეხედულება არც აქ შექმნილა. ფრანგული გაზეთის „ეკიპის“ აზრით, ნაწილობრივ სწორია ის მოსაზრება, თითქოს სხეულის დიდ დატვირთვასთან დაკავშირებული ხანგრძლივი მზადება საშიშიც შეიძლება აღმოჩნდეს.

„ეკიპი“ იმეორებს დიდად გამოცდილი ამერიკელი მწვრთნელის რონ ჯონსონის აზრს, რომელიც მექსიკელ მოცურავეთა ოლიმპიურ გუნდთან მუშაობს. იგი ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს მაღალმთიან პირობებში მზადების მიზანშეწონილობას. ჯონსონმა თქვა, რომ უკვე ერთი წელია მექსიკურ გუნდს პრაქტიკულად იდეალურ პირობებში წვრთნის. სპორტსმენთა ფიზიკური დატვირთვა ძალიან დიდია. ისინი დღეში 12-15 კმ-ს ფარავენ. მაგრამ ჯონსონი არ მოითხოვს მათგან კვირაში ორზე მეტ ინტენსიურ საწვრთნელ დღეს და სერიოზულ ყურადღებას აქცევს დასვენებას.

მწვრთნელი შენიშნავს, რომ ეს რეჟიმი მან დაამუშავა მხოლოდ მექსიკელებისთვის, რომლებიც შეჩვეული არიან შუამთიანეთის თავისებურებებს. იგი დარწმუნებულია, რომ ასეთი რეჟიმი სავსებით საფუძვლიანია, მაგრამ სწორედ იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც სისტემატურად მთიან ადგილებში იწვრთნებიან. რაც შეეხებათ მოცურავეებს, ისევე, როგორც დაბლობის ქვეყნების სხვა სპორტსმენებს, მათთვის შუამთიანეთში ვარჯიში, თუ იგი ნახევარ წელიწადს მაინც გრძელდება, შეიძლება უფრო ნაყოფიერი იყოს. ჯონსონი დასძენს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი თვის განმავლობაში მთიანეთის პირობებში ინტენსიური ვარჯიში შეიძლება სახიფათო გამოდგეს. მათთვის, ვინც შუამთიანეთს მიუჩვეველია, უფრო მიზანშეწონილია წვრთნის ხუთ დღემდე შემცირებაო, — ამბობს მწვრთნელი.

„ეკიპი“ წერს, როცა მექსიკელთა მწვრთნელის აზრი შეიტყო, სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის თავმჯდომარემ ფირსოვმა უყოყმანოდ განაცხადა: რონ ჯონსონი სწორი არ არისო.

როგორც ჩანს, სპეციალისტების მსაჯული მხოლოდ უშუალოდ ოლიმპიური თამაშები იქნება.

ბუნებრივია, მსოფლიო პრესა სავსეა პროგნოზებით XIX თამაშების მოსალოდნელი შედეგების შესახებ. მაგრამ აქ საქმეში ჩახედული ხალხი ერთსულოვნებას იცავს: ბრძოლა გაჩაღდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის. საბჭოთა მძლეოსნების მაღალი მაჩვენებლები ბოლო შეჯიბრებებში გვაიძულებენ ამ სახეობაში ჩვენი და ამერიკის გუნდების შანსები თითქმის თანაბრად მივიჩნიოთ. რაც შეეხება ცურვას, აქ უპირატესობა ამერიკელებს ეკუთვნით.



ტოკიო. იაპონელ სპორტსმენთა ფორმა XIX ოლიმპიური თამაშებისთვის.

ფოტო კიოდო-ხაკდესისა.

# საშუალო მთიანეთში ნაჩვენ[ები]

გდრ-ის ჟურნალმა „დერ ლაიჰტატლეტმა“ გამოაქვეყნა 400-მეტრიან და უფრო გრძელ დისტანციებზე ნაჩვენები უმაღლესი მძლეოსნური შედეგები საშუალო მთიანეთში (ზღვის დონიდან 1900 მეტრზე მაღლა).

ამ შედეგებისადმი ინტერესი იმით აიხსნება, რომ 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშები, როგორც ცნობილია, ჩატარდება 2240 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ბევრ უცხოელ სპეციალისტს მიაჩნია, რომ საშუალო მთიანეთში და, უპირველეს ყოვლისა, აფრიკის რიგ ქვეყნებში მცხოვრებ სპორტსმენებს ამასთან დაკავშირებით ოლიმპიურ თამაშებში გარკვეული უპირატესობა ექნებათ.

მაგრამ ქვემოთ მოყვანილი სია ადასტურებს, რომ სპეციალისტთა აზრი მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს.

400 მ — 45,4 ლ. ჯონსი (აშშ). მეხიკო, 1955.

440 იარდი — უ. უილიამსი (აშშ). ალბუკერკი (1928 მ), 1963.

## ტელეტაიპის ლენტიდან

◆ ვიგო (ესპანეთი), 7 აგვისტო. იუნიორთა შორის ევროპის ორგაზის ჩემპიონები — სსრ კავშირის კალათბურთელი ვაჟები ლიდერობენ აქ მიმდინარე III ევროპულ პირველობაში. ტურნირში მონაწილეობენ 12 ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი უპირატესობით მოიგეს ყველა წინასწარი შეხვედრა და ნახევარფინალში გავიდნენ. მეორე ქვეჯგუფში I ადგილი დაიკავეს საბჭოთა გუნდის მთავარმა მეტოქეებმა — იუგოსლაველებმა, რომლებმაც ბოლო მატჩში ფარხმალი დააყრევინეს მანამდე დაუმარცხებელ მასპინძელთა გუნდს —



მექსიკის დედაქალაქი მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

• • •

ხ უ რ ა თ ზ ე: აცტეკის სტადიონი. ხედი ზემოდან.

# ტრეკი

ხარკოვი, 6 აგვისტო. ველოსი[...]პედისტთა ჩემპიონატის ფარდი[...] დახურვის წინ მოვლენათა მსვლელობამ საეჭვო გახადა შეხედულება, რომ ხარკოვის ტრეკი „სწრაფი“ არ არის. დინამოელებმა — სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონ[...]მა, ტულელმა თ. გარკუშინამ, ალ[...]მაათელმა ნ. კარატაევამ და ლენ[...]ნგრადელმა ა. კონკინამ ახალი სა[...]კავშირო რეკორდით მოიგეს ოქრო[...] მედლები 3 კილომეტრზე გამო[...]დევნებით გუნდურ რბოლაში — 3.49,8. ეს შედეგი მით უფრო მნი[...]შვნელოვანია, რომ ძველი რეკორ[...]დი, რომელიც ირკუტსკის ხ[...] „სწრაფ“ ტრეკზე დამყარდა (3.52,1[...] უკვე 13 წლისა იყო. ვერცხლ[...]ჯილდოები სპარტაკელებს ხვდა[...] ბრინჯაოსი — „ბურევესტნიკის“ წ[...]რმომადგენლებს.

მოულოდნელი დრამატიზმით აღ[...]ნიშნა ფინალი. ტანდემებით რბო[...]ლაში ჩვენმა უსწრაფესმა დუეტ[...] (რიგელი ი. ბოდნიეკსი და მოსკო[...]ველი ვ. ლოგუნოვი) პირველი ფი[...]ნალური სერია დამაჯერებლად მო[...]უგეს მოსკოველ ვ. ტორმოზოვს [...]ოდესელ ვ. სემენცს. მეორე სერია[...]ში ლიდერები ბოლო ვირაჟზე დ[...]ეცნენ, მაგრამ რაკი მეტოქეებ[...]წესი დაარღვიეს, მათ მაინც მიიღ[...] ჩემპიონთა ჯილდოები. ბრინჯაო[...] მედლები ხვდათ ხარკოველ ს. კრა[...]ცოვს და ტულელ ი. ლუკიანოვს.

მაშ ასე, ველოსიპედისტთა წინ[...] ოლიმპიური ჩემპიონატი უკან დ[...]რჩა. რა თქმა უნდა, მისი შედეგებ[...] სტატისტიკის მოყვარულთა შეიძლ[...]ბა ხელს არ აძლევდეს, მაგრამ [...] შეჯიბრება არ შეიძლება განვიხ[...]ლოთ, როგორც ჩვენი ოლიმპიუ[...] გუნდის სრული სახის გამოხატ[...]

# სპორტული ბიოგრაფიის დასაწყისი



... მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაში გამარჯვებულ ალა ზასუხინას მადლიერი მაყურებლის ტაშის გუგუნში გადასცეს ოქროს მედალი. ეს ჯილდო უკანასკნელი მედალი იყო იმ 259-დან, კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მოზარდთა I საკავშირო ზაფხულის სპორტულ თამაშებში რომ დანაწილდა. საღამოს, შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე, 16 წლის ასტრახანელმა მოსწავლემ რუსეთის ფედერაციის ნაკრები გუნდის სხვა წევრებთან ერთად თამაშების მთავარი მსაჯის ა. ფიოდოროვისგან მიიღო პრიზი რსფსრ-ს კოლექტივის საერთო გუნდური გამარჯვებისთვის, რომლის წარმომადგენლებმაც შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებული 17 სახეობიდან რვაში ყველას აჯობეს.

დიდი, შესანიშნავი ტრადიციების მქონე კიევის სპორტულ სარბიელზე ერთბაშად სიწყნარე გამეფდა. ლ. ლატინინამ და პ. ასტახოვამ, ბ. შახლინმა და ი. ტიტოვმა, ლ. ჟაბოტინსკიმ და ვ. კრეპკინამ — ამ სპორტსმენებმა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების სხვა ჩემპიონებმა კიევს მთელს მსოფლიოში გაუთქვეს სახელი. და აი, ახლა იმ სტადიონებზე და დარბაზებში, სადაც სახელგანთქმული ოსტატები პირველ ნაბიჯებს დგამდნენ, ქვეყნის 15 რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტული სიჭაბუკის 3724 წარგზავნილმა მოიპოვა უფლება, რომ საბრძოლო პოსტზე შეცვალონ ვეტერანები, იწოდებოდნენ 1972 და 1976 წლების ოლიმპიელებად.

მოზარდთა საკავშირო თამაშები დამთავრდა. აპნ-ის კორესპონდენტმა ამ ასპარეზობის შედეგების შეჯამება სთხოვა ცნობილ პარტიზანს, სსრ კავშირის ორგზის გმირს, უკრაინის სოციუზრუნველყოფის მინისტრს ა. ფიოდოროვს, რომელიც თავის სიცოცხლეში პირველად გამოვიდა მთავარი არბიტრის უჩვეულო როლში.

— გვითხარით რამდენიმე სიტყვა თამაშების მნიშვნელობაზე. რით განირჩევა ეს შეჯიბრება მოსწავლეთა ჩვეულებრივი საკავშირო სპარტაკიადებისგან?

— მოზარდთა ზაფხულის I საკავშირო თამაშებს რამდენიმე მიზანი ქონდა. ჩემი აზრით, მთავარია შემდეგი: ჯერ ერთი, ამ შეჯიბრებას ახალგაზრდობა მტკიცედ უნდა დაემეგობრებინა ფიზკულტურასა და სპორტთან; ამას გარდა, მას ხელი უნდა შეეწყო სპორტის მთავარი სახეობების განვითარებისთვის და გამოევლინებინა ნიჭიერი სპორტსმენები, სსრ კავშირის, რესპუბლიკების, საზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდების უახლოესი კანდიდატები. დასასრულ, თამაშები ფიზკულტურისა და სპორტის ჩინებული პროპაგანდაა, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის მისი მომზადების მნიშვნელოვანი საშუალება.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ფინალური ასპარეზობის მონაწილეებისადმი ტყუილად როდია ნათქვამი: „ახალგაზრდობას მარტო სპორტულ ესტაფეტას როდი ანდობენ, — ახალგაზრდა თაობას წილად ხვდა პატივი იყოს მამათა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების გამგრძელებელი, მამებისა, რომლებმაც მძიმე ბრძოლაში მოიპოვეს ჩვენი დღევანდელი ბედნიერება“. როგორც სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ის, ვინც ბავშვობიდან რეგულარულად ვარჯიშობს სპორტში, თავის სიცოცხლეს უექიმოდ და უწამლოდ გაატარებს. დამეთანხმებით, ჯანმრთელობა არაფერი სჯობს. რაც შეეხება განსხვავებას მოზარდთა თამაშებსა და მოსწავლეთა სპარტაკიადებს შორის, ეს შემდეგში გამოიხატება: თამაშებში მონაწილეობენ არა მხოლოდ სკოლების, არამედ ტექნიკუმებისა და სასწავლებლების მოსწავლეებიც, ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურეებიც.

— შესრულა თუ არა შეჯიბრებამ დასახული ამოცანები?

— უეჭველად. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით ჯერ კიდევ წინასწარ შეჯიბრებებში სტარტზე გამოვიდა 10 მილიონზე მეტი ნორჩი სპორტსმენი. როგორც ხედავთ, ასპარეზობამ მოზარდთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ამასთან, თამაშებმა მოგვცა შესაძლებლობა, რომ შეგვემოწმებინა ფიზიკური კულტურის დონე სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში, ქარხნებში, მშენებლობებზე. გამოირკვა, რომ მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საქმეში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე როდია. არ გვყოფნის სპორტული ბაზები, მარტივი ტიპის მოედნები ეზოებში, არ გვყოფნის მწვრთნელთა კადრები.

— თქვენ თქვით, რომ მოზარდთა საკავშირო თამაშები ჩვენი სპორტის უახლოესი რეზერვის დიდ დათვალიერებად უნდა ქცეულიყო?

— და იქცა კიდეც. უკვე წინასწარ შეჯიბრებებში 103 ახალგაზრდა სპორტსმენმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, 140-მა კი ოსტატობის კანდიდატისა. ფინალური სტარტების დროს კიდევ 77 ჭაბუკმა და ქალიშვილმა აჩვენა სპორტის ოსტატის შედეგი, ამასთან, 40-მა პირველად. 113 კაცი კანდიდატი გახდა, 600 მონაწილემ I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა ოსტატებს, აგრეთვე, თამაშების 259 ჩემპიონს შორის არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ეს ნიშნავს, რომ 1972 და 1976 წლების ოლიმპიელებს ზ რ დ ი ა ნ არა მარტო ისეთ ტრადიციულ სპორტულ ცენტრებში, როგორიცაა მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი ან თბილისი, არამედ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში. კიევში იაკუტიიდან ჩამოვიდა ორი მოჭიდავე — ი. ფედოსეევი და ს. მარფუნოვი. მათ ჩემპიონობა მოიპოვეს და დაამტკიცეს, რომ სულ ახლო მომავალში შეუძლიათ ექსტრა-კლასის მოჭიდავეებად დასტატდნენ. კიევიდან მრავალი ათასი კილომეტრის დაშორებით, ალმა-ათის სკოლა-ინტერნატში მწვრთნელები ვ. სელეზნიოვი და გ. ფილიმონოვა კარგ წყალში მხტომელებს ზრდიან. მათმა მოწაფეებმა გ. ენშინმა, ა. გენდრიკსონმა, ე. ტერეშჩენკომ ამ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს და საპრიზო ადგილებზე გავიდნენ. ასეთი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

— შეგიძლიათ თუ არა დაგვისახელოთ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებიც უკვე დღეს არიან ღირსი ქვეყნის ახალგაზრდულ და მოზრდილთა ნაკრებ გუნდებში მოხვედრისა?

— მე მწვრთნელი არ გახლავართ და ამიტომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ 15 წლის სვერდლოვსკელ ლ. ჟარკოვას უკვე შეუძლია პრეტენზია განაცხადოს მეხიკოს საგზურზე. კიევში ლიუდამ ორივე სპრინტერული დისტანცია მოიგო. ამასთან, 200 მეტრზე ისე ირბინა, როგორც ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებიდან არავის ურბენია მის ასაკში — 24,2 წამი! მეხიკოს თამაშები შეიძლება ოლიმპიურ დებიუტად იქცეს ნ. ბრინცევასთვისაც, რომელიც 177 სმ-ზე გადებულ თამასას გადაევლო, მოსკოველი ტ. ბიჩკოვასთვისაც, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში 631 სმ აჩვენა. მძლეოსანთა შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა დონეცკის მეტალურგიული ქარხნის მუშა, 18 წლის თარჯმორბენალი ვ. შკოტკინი — 400 მეტრზე თარჯრბენში მან 52,6 წამი აჩვენა, რაც ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდია. 16 წლის მორბენალმა ვ. ზიმინმა (მოსკოვის ოლქი) ერთბაშად ჭაბუკთა ორი საკავშირო რეკორდი დაამყარა 400 და 800 მეტრზე. მოწონება დაიმსახურეს აკრობატებმა ა. ბუტენკომ და ნ. ტიმოფეევამ, მოკრივე ი. პონომარიოვმა, ჩოგბურთელმა ფ. პილოსიანმა, მოფარიკავეებმა ს. კოკორინმა, დ. ბუხრაშვილმა, წყალში მხტომელებმა ტ. შტირიოვამ, ა. სელინამ, ნ. ვიროჩკინამ და ბევრმა სხვამ.

# ...ბი საუკეთესო შედეგები

...800 მ — 1.46,4 უ. კიპრუგუტი (კენია). ნაირობი (1925 მ), 1968.
...880 იარდი — ჯ. რაიანი (აშშ). ალბუკერკი, 1967.
...1.500 მ — 3 46,4 ბ. ტიუმლერი (გფრ). მეხიკო, 1967.
...1 მილი — 3.58,7 კ. კეინო (კენია). ნიერი (1965 მ), 1967.
...2 მილი — 8.50,4 ჯ. სკოტი (ავსტრალია). ალბუკერკი, 1967.
...6 მილი — 28.16,4 ნ. ტემუ (კენია). ნაირობი, 1967.
...5.000 მ — 14.20.0 ა. მეია (კოლუმბია). მეხიკო, 1966.
...10.000 მ — 30 10,0 ა. მეია. მეხიკო, 1966.
...3.000 მ წინაღობებით — 8.57,8 გ. რულანტსი (ბელგია). მეხიკო, 1967.
...მარათონი — 2:19.37,0 გ. რულანტსი. მეხიკო, 1967.
...ბარიერებით 440 იარდზე — 49,6 რ. კოული (აშშ). ალბუკერკი, 1963.

...ორ დარჩენილ ვაკანსიაზე პრეტენზიას აცხადებენ იტალიის, თურ...ესპანეთისა და საბერძნეთის გუნდები.

...ვიში (საფრანგეთი), 7 აგვისტო. ესპანეთის გუნდმა მეოთხედ გა... გალეას თასის გათამაშებაში — ევროპის ახალგაზრდა ჩოგბურ... ების არაოფიციალურ ჩემპიონატში. საფრანგეთის ნაკრებთან ... ფინალური მეჯიბრებების ბოლო დღეს გამარჯვება მოუტანეს ... მა და მ. ორანტესმა. პირველმა დაამარცხა პ. პრუასი (3:0), ... მეორემ — საფრანგეთის მოწინავე ჩოგბურთელი ჟ. გოვენი (3:2). ... საერთო ანგარიშია 3:2. ფინალურ ნაწილში მოასპარეზე საბჭოთა ... მა იტალიელებთან წააგო (2:3) და IV ადგილი დაიკავა. III ადგი... ამ მატჩის უკვე პირველ სამ შეხვედრაში გადაწყდა, როცა ... გახდა 3:0. მხოლოდ ბოლო დღეს ვ. კოროტკოვმა მოუგო ფ. ... (8:6, 6:4), ა. ვოლკოვმა კი დაამარცხა ა. პანატი (2:6, 6:3, 6:3).

# „...ფრაპი“ ხდება

...მეხიკოს ასპარეზობის წინ. ...ები გონივრულად მოიქ... თავიანთი მოწაფეების ... ფორმა მექსიკისთვის ...

...ედავად ამისა, გაგვახარა გუ... შეჯიბრებამ გამოავლინებით ...ში, სწორედ იმ სახეობაში, ... ჩვენი სპორტსმენები ... ჩემპიონები არიან. სამი ... მაჩვენებლები ამ შედე... მერყეობს: 4.34 და ... წამები ყოველი ეროვ... ების ბიოგრაფიას დაამ...

... ყოველთვის, ფორმაშია ... ჩემპიონი — თბილისელი ... ომარ ფხაკაძე. დასანა... ქვეყნის ტრეკებზე მას ... თანაბარი მეტოქეები არ ... მართალია, კარგ სისწრაფეს ... ახალი ჩემპიონი 1000 მე... ადგილიდან გიტში, ხარკო... ცელოვალნიკოვიც.

... არ შეიძლება გავამარ... გარემოება, რომ გამო... მოასპარეზეთაგან ხარკო... გადალახა 5 წუთი. ... ეს სახეობა სუსტა... საკავშირებული საგზატკეცი... სთან, საიდანაც რამდე... ნაში იღებენ რეზერვს ... რბოლისთვის.

... შეხვედრა ველოსიპედისტ ქა... ილთაც აგვისტოს მიწუ... მის მსოფლიო ჩემპიონა... იბრძოლონ მედლების... სტაბილური ფორმა და ... მაღალი შედეგები აჩვენეს. ... ისინი გულს არ ატკე... თა სპორტის მოყვარუ... ოქროს მედალი ვა...

...ქებმა 75 კილომეტრზე წყვილთა რბოლაში გაითამაშეს. სისწრაფე თავიდანვე საათში 50 კმ-მდე იყო. ჩემპიონობა მოიპოვეს სპარტაკელებმა დ. პანკოვმა და ნ. შილოვმა. „ვერცხლის წყვილის“ სახელი დაისაკუთრეს ვ. შუპიაკინმა და გ. კარაულოვმა („ზენიტი“), ბრინჯაო ხვდათ მ. კოლიუშევსა და ძ. ლაცისს („დინამო“).

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: „დინამო“, შეიარაღებული ძალები, „ბურევესტნიკი“.



# სტუმრად მიანტიურანტასთან

სახელგანთქმული ფინელი მრბოლელი ეერო მიანტიურანტა, რომელსაც თითქმის მთელი ათწლეულის მანძილზე „თხილამურების მეფეს“ ეძახიან, სულ 30 წლისაა, მაგრამ უკვე გადაწყვიტა თავი დაანებოს სპორტს. დახედეთ მისი პრიზების კოლექციას და მყისვე მიხვდებით, ვისთან გაქვთ საქმე:

22 წლისა იგი ოლიმპიური ჩემპიონია (მედალი ესტაფეტაში მონაწილეობისთვის 1960 წელს სკვო-ველიში);

1962 წელს — მსოფლიო ჩემპიონი 30-კილომეტრიან რბოლაში;

1964 წელს ინსბრუკის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონია 15 და 30 კმ რბოლაში;

1966 წლის მსოფლიო პირველობაში მოპოვებული აქვს 3 მედალი — ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი;

4 ოლიმპიური მედალი გრენობლში, ერთი ვერცხლისა, სამი ბრინჯაოსი;

სოფელი, სადაც მიანტიურანტა ცხოვრობს, პოლარული წრიდან შორს, ზედ ფინეთ—შვეციის საზღვარზეა. ჰელსინკიდან ოულუმდე ვიფრინეთ, იქიდან პელომდე 25 კმ ვიარეთ. გასაკვირი როდია, აქ რომ კარგი მოთხილამურეები იზრდებიან.

შინ, როცა არც სათხილამურო ბილიკზეა და არც სპორტულ ფორმაში, მიანტიურანტა გაცილებით უფრო ახალგაზრდა ჩანს. იგი ათლეტს არა ჰგავს. რბილი, ხათნო ღიმილი, მის სახეზე „მრისხანების“ ნიშანწყალიც არაა, სარბიელზე კი რა მრისხანე მეტოქეა! უნებურად ეძებ ახსნას განთქმული და ამავე დროს იდუმალებით მოსილი ფინური სიტყვისას „სისუ“, რომლის მნიშვნელობაც ლექსიკონში ასეა ახსნილი: შეუპოვრობა, სიმამაცე, ჟინი. აი, ეს „სისუ“ მიანტიურანტას თავსაყრელი აქვს. ეს მან ბევრჯერ დაამტკიცა.

რას მოჰკიდებს ხელს მიანტიურანტა სპორტის შემდეგ? განთქმულ სპორტსმენს პატარა სადურგლო სახელოსნო აქვს, სადაც მასთან ერთად ორი კაცი მუშაობს. მიანტიურანტა პელოს კომუნალური თემის ახალგაზრდობას წვრთნის.

— სპორტიდან წასვლა დიდი ხანია გადავწყვიტე, — ამბობს ეერო. — მე და ჩემმა ცოლმა ამაზე ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მოვილაპარაკეთ. ძნელია, ძალიან ძნელია სარბიელზე გამოსვლა, ვარჯიში და მუშაობა ერთად.

მიანტიურანტას ოთხი ბავშვი ჰყავს. უფროსი გოგონა უკვე 9 წლისაა, ბიჭი ექვსისა, უმცროსები ტყუპები არიან. ყველაზე დამოუკიდებელი სახე 6 წლის ჰარის მიუღია. უმცროსმა მიანტიურანტამ უკვე მოუგო თავის ტოლებს „ოფიციალური“ სათხილამურო რბოლა.

ფოტო და ტექსტი მ. კოხოვისა.

# დარჩა 14 მონაწილე

დუშეთი, 7 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის II ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ლ. კორომშინაძემ მოუგო ნ. ჩიქობავას, ც. კახაბრიშვილმა — ე. ლომიძეს (ქუთაისი), ს. ივანოვამ — ზ. შენგელიას (სამტრედია).

დანარჩენი პარტიები გადაიდო. თ. ხუგაშვილსა და ქ. პილცერს მოსაგები პოზიცია აქვთ: პირველს — მ. ჩომახიძესთან, მეორეს — მ. სანაძესთან. არ შედგა ნ. ალექსანდრია — ქ. გოგიავას შეხვედრა. ნ. გიორგაძე (ბათუმი) და ვ. დანელია (აბაშა) ტურნირს გამოეთიშნენ, რაკი დუშეთს არ ჩამოვიდნენ.



როგორც ცნობილია, ამას წინათ თბილისში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა რეგბიში. გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელიც ფრედ (3:3) დამთავრდა, ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და მოსკოვის სპორტსმენები. სურათზე აღბეჭდილია ამ საინტერესო მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ი. იუნაევისა.

# ხარვეზი მაინც ბევრია

მაიაკოვსკის რაიონის 57 ფიზკულტურულ კოლექტივში 5000-ზე მეტი სპორტსმენია გაერთიანებული. ქმედითი ღონისძიებანი ტარდება ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისა და მასობრიობისთვის, სპორტული ბაზების განმტკიცებისთვის.

მარტო ბოლო წლებში, მახარაძის, გურჯაანისა და გარდაბნის რაიონების მშრომელთა მაგალითისამებრ, საკუთარი სახსრებითა და ძალებით მარტივი ტიპის სპორტული ბაზები მოაწყვეს ფერსათის მახარაძის, დიმის სვერდლოვის, წითელხევის ფრუნზეს, საკრაულას მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობებმა, ჯარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის და სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაში მოაწყვეს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, აქვე საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა სპორტული სკოლა, სადაც მასწავლებელ ა. ქვანიას ხელმძღვანელობით ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის და სხვა ჯგუფები მუშაობს.

მოზარდთა სპორტულ დაოსტატებაში დიდი წვლილი შეაქვს რაიონულ სპორტულ სკოლას, რომელიც შარშან გაიხსნა. სკოლის აღსაზრდელებმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ა. თავხელიძემ, მ. კვირიკაძემ და რ. ადამაძემ „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაში საპრიზო ადგილები დაიკავეს. წარმატებით გამოდიან შეჯიბრებებში კალათბურთის, ფრენბურთის და სხვა ჯგუფების აღსაზრდელები.

ამ წარმატებათა გვერდით გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებებიც. ბევრი ფიზკულტურული კოლექტივის სპორტსმენები თავს არიდებენ რაიონულ ღონისძიებებში მონაწილეობას, სექციებში ვერ მიიზიდეს ქალები, საწარმოებში დანერგილი არ არის საწარმოო ტანვარჯიში, ფიზკულტურის ინსტრუქტორები თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში ფიზკულტურის გაკვეთილებს არასპეციალისტები ატარებენ. მეტი მუშაობაა საჭირო ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრიობისთვის, ახალი სპორტული ბაზების მშენებლობისა და არსებულთა კეთილმოწყობისთვის.

სპორტული ბაზების მშენებლობის გაშლის მიზნით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისთვის არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ ზეგნის ჟდანოვის, ობჩის ლენინის, წითელხევის რუსთაველის და ფერსათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ქ. არშილავა) ფეხბურთის მინდორი გადახნეს, ახლის მოწყობისთვის თავს არ იწუხებენ.

სერიოზული ხარვეზები აქვს „კოლმეურნის“ და „სპარტაკის“ რაისაბჭოების მუშაობას.

აი, ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს მორიგმა სესიამ, რომელმაც მოისმინა კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის, დეპუტატ ლ. კოტრიკაძის მოხსენება „რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სპორტული მოედნებისა და ნაგებობების ქსელის გაფართოებას, სპორტში ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმას, ფიზკულტურის სპეციალისტებით სკოლების დაკომპლექტებას.

**გ. მჟავანაძე.**

მაიაკოვსკი.

# კუს ნაბიჯით

„ლელოს“ საფოსტო

ფოთის „ვოდნიკის“ წყალჯომარდობის სადგურის მშენებლობაზე ამ წლინახევრის წინათაც დაიწერა ჩვენს გაზეთში. მაშინ მშენებლობის ხელმძღვანელებმა პირობა დადეს, ობიექტს საექსპლოატაციოდ 1968 წლის ბოლოსთვის ჩავაბარებთო. და აი, ფოთიდან მოსულმა წერილმა ისევ გზად გვიხმო.

რა ვნახეთ?

მეორე სართული დაუმთავრებიათ, დასასრულს უახლოვდება ბაზის ბირთვის — 100 ნავისთვის განკუთვნილი ელინგის მშენებლობა. ესაა და ეს.

როგორც მე-11 სამშენებლო ტრესტის ფოთის 1-ლი სამმართველოს უფროსმა ა. გრიგოლიამ გვითხრა, წლეულს განზრახული აქვთ კაფე-სასაუზმის, დამხმარე ნაგებობების, ტრიბუნების, ნავმისადგომების აგება და ბაზის გადახურვა. მაგრამ ეს სიტყვები სარწმუნო არ უნდა იყოს. მშენებლობა მეტისმეტად ცუდად მარაგდება მასალებით. წლის დასაწყისში სამტრედიის ხე-ტყის გამსაღებელ ბაზას 28 კბ მ მასალა დაუკვეთეს, მთავარმომარაგება-გასაღების ქუთაისის სარაიონთაშორისო კონტორას მინებისთვის თანხაც გადაურიცხეს, მაგრამ პასუხი არც ერთი ორგანიზაციიდან არ ისმის. ერთი სიტყვით, იმ 43 ათასი მანეთიდან, წლეულს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისთვის რომ უნდა აეთვისებინათ, სადღეისოდ მხოლოდ 15 ათასი მანეთია დახარჯული. სურათი უფრო ნათელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მშენებლობაზე ყოველდღიურად მხოლოდ 5-8 მუშა გამოდის და ისინიც უმეტესად ჩრდილში ჯდომას ამჯობინებენ.

ამ საკავშირო მნიშვნელობის სპორტული ბაზის მშენებლობისადმი გულგრილი დამოკიდებულება მით უფრო უპატიებელია, რომ საქართველოში ნიჩბოსნობის სხვა ხეირიანი ბაზა არც არის.

საინტერესოა, რას ფიქრობს დამკვეთი — ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელობა, რატომ მეტ კონტროლს არ უწევენ მშენებლობას ქალაქის აღმასკომი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო?

**ვ. ბუკია.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.

# ფიზკულტურა გამორჩათ

ცხელა. რევაზ მაისურაძე კითხვის თვალით შემომცქერის და ხვნეშის.
მე თანავუგრძნობ, მაგრამ რას იზამ, სამსახური სამსახურია.

და მაისურაძეს გაახსენდა. ამას წინათ მშვენიერი სიზმარი უნახავს. მე-7 სამკერვალო ფაბრიკის ეზოში შედიოდა. დაინახეს თუ არა, დასცხო თურმე ორკესტრმა. მერე ორდენიც მიურთმევიათ კარგი ფიზკულტურული მუშაობისთვის.

გამეღვიძა და ისევ ამ ოხერ საქაღალდეებში ვიჯექი, ვერა და ვერ მოვუყარე თავი სპორტულ ბუღალტერიასო, — შემომჩივლა.

ათ წუთს მაინც ეძება ფორმა № 1, მერე ჰერს მიაჩერდა და დაასკვნა, რომ 800 ფიზკულტურელი ჰყავს, მათგან ყოველი მეოთხე რეგულარულად ვარჯიშობს ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სროლაში.

მაგრამ მთლად ასე როდი აღმოჩნდა. „სპორტულ სექციებში ჩაბმულია ფაბრიკის 300 ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურე“, — დაადგინა ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის წევრმა ო. მჭედლიშვილმა.

მე მოვახერხე და ეს ციფრი კიდევ უფრო შევამცირე. ფიზკულტურის ინსტრუქტორ რევაზ მაისურაძეს, რა თქმა უნდა, ძალიან ეწყინა.

კედელზე თავს იწონებენ „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სიგელები, მაისურაძესა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს გ. ზაქარიაშვილს აქტიური ფიზკულტურული მუშაობისთვის რომ მიუღიათ. ორდენი, მაშ რა არის?

ჩვენ კი აი, რა გვინდა ვიკითხოთ: რატომ მუშაობს ფაბრიკაში მხოლოდ ოთხი სექცია და ისიც არასისტემატურად? რატომ მალავენ ჩრდილში თავიანთ მძლეოსნურ „ტალანტებს?“. თურმე ეს იმიტომ ხდება, რომ მაისურაძე თავმდაბალი კაცია. მაგალითად, ამას წინათ გამართულ კროსში 72 კაცი მონაწილეობდა და ვერც ერთი ვერ მოხვდა... მოსკოვში. გული დასწყდა გამარჯვებულ ეთერ ხუციშვილს. მან ნახევარი კილომეტრი 1 წუთსა და 22,5 წამში დაფარა და ეს შედეგი ერთი არავის უხსენებია. მხოლოდ მე აღმოვაჩინე იგი 5 თვის შემდეგ.

ეს რომ ფედერაციას ადრე შეეტყო, ვინ იცის, იქნებ ეთერი საკავშირო კროსის მონაწილეთა შორის გვეხილა.

მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაისურაძესთან ხანმოკლე საუბარში გამოირკვა, რომ წამმზომებს მაჩვენებელში პატარა „შესწორება“ შეუტანიათ. უბრალოდ, შეცდნენ ასე ოციოდე წამით. ამ შეცდომების წყალობით ხომ არაა, რომ 35 მესამეთანრიგოსნიდან 21 „გაიზარდა“ კროსმენთა მატყუარა ბილიკზე?

ფაბრიკაში მოცურავეები არა ჰყავთ, სამაგიეროდ, აუზი აქვთ. მართალია, ბაზა არასტანდარტულია (20 × 8 მ), მაგრამ ბიჭებს სული მისდით ამ აუზზე, სულ კედლებზე მოძვრებიან ქუჩიდან, ფაბრიკის მუშები კი რატომღაც სათოფედ არ ეკარებიან.

— ეგ მე არ მეხება, — განაცხადა მაისურაძემ.

— ეგ ჩვენ არ გვეხება, — გვითხრეს კომკავშირის კომიტეტში.

გეხებათ! ეს თქვენი საქმეა, სპორტისა და კომკავშირის ხელმძღვანელებო. სცადეთ, ჩამოაყალიბეთ მოცურავეთა ჯგუფი და ნახავთ, მეცადინეობის მსურველებს ვერ აუხვალთ.

სხვათა შორის, მაგიდის ჩოგბურთის სექციაში შარშან მაისურაძემ 97 გაკვეთილი ჩაატარა. ჩოგბურთელები ასეთი დაძაბული ვარჯიშით დაიქანცნენ და „განთიადის“ საქალაქო პირველობაში VI ადგილი დაიკავეს.

მსროლელები კვირაში მხოლოდ ერთხელ იკრიბებიან ტირში სავარჯიშოდ.

ფიზკულტურა გამორჩათ საამქროს ორგანიზაციებსაც.

მე-6 საამქროს ფიზორგმა ხ. წიკლაურმა გაოცებით შემომხედა:

— რა საჭიროა საამქროს პირველობა?

არ შეშვენის სპორტის ოსტატს ასეთი გულგრილობა.

წლეულს ფაბრიკაში სულ ოთხი ტურისტული ლაშქრობა ჩატარდა 100 კაცის მონაწილეობით. ადმინისტრაციის, პროფკავშირის კომიტეტისა და მუშა-მოსამსახურეების კოლექტიურ ხელშეკრულებაში კი ტურისტულ ღონისძიებებს დიდი ადგილი ეთმობა. ან როგორ არ დაეთმობა, როცა თბილისის ზღვამდე ამ ფაბრიკიდან სულ 15 წუთის გზაა ტრამვაით. მაგრამ ზღვაზე ერთხელ ყოფილან. არ სრულდება ამ ხელშეკრულების კიდევ ერთი პუნქტი — ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სექციების შექმნა.

საწარმოო ტანვარჯიში რატომღაც ტარდება მუშაობის დაწყების წინ, თუმცა პირველ საამქროში მაინცდამაინც დიდი ყურადღებით არც ამ საქმეს ეკიდებიან. არა აქვთ სპორტული კედლის გაზეთი, რეკორდების ცხრილები, სპორტდარბაზში დიდის ამბით გამოუკრავთ სპორტღონისძიებათა კალენდარი... 1965 წლისთვის.

ყოველივე ამაში „წვლილი“ მარტო მაისურაძეს როდი მიუძღვის. დამნაშავეა მისი თანაშემწე, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი გ. ზაქარიაშვილიც. სხვა თუ არაფერი, ბოლოსდაბოლოს 13 წელია ერთად მუშაობენ.

**ვ. ბუკინი.**

# მუშაობა გარდაიქმნება

15 მარტს პარტიის მარნეულის რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონის საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფიზკულტურულ - მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხი. ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიიღეს სათანადო დადგენილება.

ახლახან ბიურომ განიხილა ამ დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგები. გამოირკვა, რომ ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ განახორციელეს დადგენილების მთავარი მოთხოვნები. ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილებზე მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მოწყობას, ხშირად არ ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, არ ეწყობა მასობრივი ღონისძიებები, საჩვენებელი შეჯიბრებები, სპორტული საღამოები...

ბიუროზე აღინიშნა ისიც, რომ მოსაგვარებელია ბაზების—სპორტდარბაზებისა და სრულფასოვანი მოედნების მშენებლობის საკითხი, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ბავშვთა სპორტსკოლა, გადაუჭრელია რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების სპეციალისტებით უზრუნველყოფის საკითხი.

ბიურომ მიიღო დადგენილება, რომელიც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციების დირექციებს აფრთხილებს დაუყოვნებლივ მოაგვარონ მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის საქმე. რაიონის საფინანსო განყოფილებას და ტექნიკურ ბიუროს დაევალათ რაისპორტკავშირთან ერთად შეიმუშაონ ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. სტადიონი აიგება კოოპერირების წესით.

ბიურომ აღმასკომს მიანდო ძველი კინოთეატრის შენობის სპორტკავშირისთვის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა.

რაისპორტკავშირს (თავმჯდომარე ო. ჯაფარიძე) დაევალა მკაცრი კონტროლი დააწესოს ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტული ორგანიზაციებისა და ბავშვთა სპორტსკოლის მუშაობაზე.

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

მარნეული.

**ზუგდიდი**

სოფელ ჰკადუაშის საკოლმეურნეობათაშორისო პიონერულ ბანაკში სპორტული ცხოვრება ჩქეფს. აქ ხშირად ეწყობა შიდასაბანაკო შეჯიბრებები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

**გ. ალშიბაია.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. I ჯგუფი. „დინამო“ (თბილისი) — „ნეფტჩი“ (ბაქო). 9 აგვისტო. სათადარიგო შემადგენლობანი; 10 აგვისტო. ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 15 წ. „ისნის“ სტადიონი. საქართველოს პირველობა. 11 აგვისტო. „ისანი“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

**კრივი.** სპორტკლუბ „სინათლის“ დარბაზი (ა. წერეთლის პრ. № 1). საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ახალგაზრდებში. 9-10 აგვისტოს შეჯიბრების დასაწყისი 18 ს., 11 აგვისტოს — 14 ს.